კემბრიჯის უნივერსიტეტის კოლეჯების სამეცნიერო პროექტი 2013

კემბრიჯის უნივერსიტეტი ღია საზოგადოების ფონდებთან ერთად იწვევს ცენტრალური, აღმოსავლეთ ევროპის და ყოფილი საბჭოთა კავშირის, მათ შორის საქართველოს მოქალაქეებს კემბრიჯის უნივერსიტეტის კოლეჯების სამეცნიერო პროექტში მონაწილეობის მისაღებად.

პროგრამა გთავაზობთ სტაჟირებას კემბრიჯის უნივერსიტეტის ერთ-ერთ კოლეჯში **ერთი თვის ვადით** ძირითადად **ზაფხულის პერიოდში (ივლისი-სეტემბერი).**

პროგრამის მონაწილეები, როგორც წესი, უნდა იყვნენ უნივერსიტეტის პედაგოგები ან კვლევითი ინსტიტუტების თანამშრომლები, რომელთაც აქვთ დოქტორის ხარისხი ან ექვივალენტური სტატუსი და სურთ იმუშავონ კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და კონსულტაციები მიიღონ და სამეცნიერო და აკადემიური კავშირები დაამყარონ იქაურ სპეციალიტებთან კემბრიჯის უნივერსიტეტში არსებულ ნებისმიერ დარგში.

უპირატესობა მიენიჭებათ მათ, ვინც მუშაობს ისეთ სპეციფიურ პროექტზე, როგორიც არის წიგნი ან ახალი სალექციო კურსი და ასევე მათ, ვისაც არ ჰქონია უცხოეთში სწავლის შესაძლებლობა.

პროგრამაში მონაწილეობის მსურველები კარგად უნდა ფლობდნენ ინგლისურ ენას.
ის აპლიკანტები, რომლებიც ორ თვეზე მეტი ვადით ნამყოფნი არიან ან გეგმავენ გამგზავრებას უცხოეთში 2012 წლის 1 აპრილიდან კემბრიჯში გამგზავრების სავარაუდო თარიღამდე, პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად არ დაიშვებიან. ასევე არ დაიშვებიან ის აპლიკანტები, რომლებმაც წინა წლებში ისარგებლეს ამ გრანტით.

განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2012 წლის 10 დეკემბერი.

დამატებითი ინფორმაცია კემბრიჯის უნივერსიტეტების დეპარტამენტებისა და ფაკულტეტების შესახებ შეგიძლიათ შეიტყოთ კემბრიჯის უნივერსიტეტის ვებგვერდზე http://www.cam.ac.uk

საგანაცხადო ფორმისა და აპლიკანტებისათვის საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად შეგიძლიათ მობრძანდეთ **საერთაშორისო განათლების ცენტრში** შემდეგ მისამართზე: ჭოველიძის ქ. 10, ტელ. 2252615 ან იხილოთ ვებ გვერდი: www.cie.ge

ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ სამშაბათს 14:00 საათზე.